ბავშვთა ასაკის სიმსუქნის ეპიდზედამხედველობის ინიციატივა

ჭარბი წონა ბავშვებში, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მთელს მსოფლიოში. იგი შესაძლოა ერთერთი ხელშემშლელი ფაქტორი გახდეს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში ქვეყნებისათვის. არაჯანსაღი კვება, არასრულფასოვანი კვება და დაბალი ფიზიკური აქტივობა ჭარბი წონის გავრცელების მიზეზებია. ერთადერთი გზა ეპიდემიის შესაჩერებლად არის სიმსუქნის პრევენცია.

თავისმხრივ ბავშვთა სიმსუქნე მრავალფუნქციური დაავადებაა, რომელიც კავშირშია ფართო სპექტრის სამედიცინო და სოციალურ პრობლემებთან. მათ შორის ნაადრევი ადრეული სიკვდილის და ინვალიდობის მაღალი რისკის ჩათვლით. ჭარბი წონა ბავშვებში უშუალოდ დაკავშირებულია გრძელვადიან კარდიოვასკულარულ, მეტაბოლურ და სხვა ჯანმრთელობასთან ასოცირებულ უარყოფით შედეგებთან.

ბავშვთა შორის ჭარბი წონის პრევალენტობა მაღალია და იგი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემას წარმოადგენს ევროპის რეგიონშიც. იმის გათვალისწინებით, რომ ჭარბი წონა გავლენას ახდენს ბავშვის გონებრივ განვითარებაზე, სკოლაში მოსწრების ხარისხზე, განათლებაზე, ჯანმრთელობაზე, სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე. აუცილებელია, რომ სიმსუქნის თავიდან აცილების მიზნით, მოხდეს სიმსუქნისა და ჭარბწინიანობის ადრეულ გამოვლენა და საჭიროების შემთხვევაში მისი მკურნალობა.

საქართველოში 2017 წელს პირველად ჩატარდა კვლევა, რომელმაც შეისწავლა სიმსუქნისა და ჭარბწონიანობის პრევალენტობა 7 წლის ასაკის ბავშვთა შორის. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 4143 7 წლის მოსწავლემ როგორც სახელმწიფო ისე კერძო სკოლებიდან. სკოლები შერჩეული იყო რანდომულად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული სკოლების ჩამონათვალიდან. კვლევა წარმოადგენდა ერთ საფეხურიანი კლასტერული კვლევას. შერჩეული კლასებიდან ბავშვთა უმრავლესობა მშობლის თანხმობით ჩართული იყო კვლევაში.

შესწავლილი იქნა შემდეგი ანთროპომეტრული მონაცემები: სიმაღლე, წონა, წელისა და თეძოს გარშემოწერილობა. ასევე შესწავლილი იქნა ბავშვთა ჩართულობა ფიზიკური აქტივობებსა და მათი კვებითი ჩვევები. სულად იქნა გამოკვლეული სკოლის გარემო შემდეგი თვალსაზრისით: ფიზიკური კულტურისა და სპორტის გაკვეთილების რაოდენობა კვირის მანძილზე და სხვა სპორტულ აქტოვობებში ბავშვების მონაწილეობა, სკოლაში ბავშვთა კვებასთან დაკავშირებული საკითხები, სკოლის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში განხორცილებული ჯანმრთელობის ხელშეწყობასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა

	ბიჭები	გოგონები	სულ
კვლევაში ჩართულ მეორე კლასელ ბავშვთა რაოდენობა	2019	2124	4143
ანთროპომეტრულ გაზომვებში მონაწილე ბავშვთა რაოდენობა	1723	1620	3343
კვლევაში ჩართულ 7 წლის ბავშვთა რაოდენობა	1451	1376	2827
კვლევაში ჩართულ ბავშვთა ოჯახის წევრების პროცენტული მაჩვენებელი	83%	74%	78%

ეროვნული წარმომადგენლობითი კვლევა ჩატარდა 2017 წლის გაზაფხულზე.

შედეგები

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სიმსუქნისა და ჭარბწონიანობის პრევალენტობა საკმაოდ მაღალია 7 წლის ბავშვთა შორის ქვეყნის მასშტაბით.

ჭარბწონიანობის პრევალენტობა 7 წლის ასაკის ბავშვთა შორის ჯანმოს დეფინიციის მიხედვით





სიმსუქნის პრევალენტობა 7 წლის ასაკის ბავშვთა შორის ჯანმოს დეფინიციის მიხედვით





წონის ნაკლებობის პრევალენტობა 7 წლის ასაკის ბავშვთა შორის ჯანმოს დეფინიციის მიხედვით





ზრდაში ჩამორჩენის პრევალენტობა 7 წლის ასაკის ბავშვთა შორის ჯანმოს დეფინიციის მიხედვით